
იურიდიული ლიტერატურის მიმოხილვა

თენგიზ ლილუაშვილი/ვალერი ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი (სანი), 2004, ISBN 99940-18-38-8

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სამოქალაქო მართლმსაჯულების ერთ-ერთი ქვაკუთხედაა, რომლის პრაქტიკაში სწორ რეალიზაციას მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყანაში სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა.

კოდექსის მნიშვნელობა განმსაზღვრელია იმაზე მსჯელობისას, თუ რაოდენ აქტუალურია ამ ნორმატიული აქტის შესახებ სახელმძღვანელო მასალის არსებობა. კოდექსის კომენტარების გამოცემაზე არსებობდა სხვადასხვა ავტორის გარკვეული ნაშრომები, რომლებიც სამოქალაქო პროცესის ცალკეულ ნაწილებს ეძღვნებოდა, თუმცა მათ თემატური სახელმძღვანელო წიგნის ან ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდათ, რაც ნაკლებად თუ აძლევდა დაინტერესებულ პირებს იმის შესაძლებლობას, რომ სრულყოფილად გასცნობოდნენ სამოქალაქო პროცესის სისტემას.

აღნიშნული ხარვეზი შეავსო კოდექსის მოცემულმა კომენტარმა, რომელიც იძლევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებათა განმარტებას და მიმართულია იქითკენ, რომ წარმოაჩინოს თითოეული ნორმის დანიშნულება ისევე, როგორც კონკრეტული კავშირები, რომლებიც ამ აქტის დებულებებს შორის გაითვალისწინა კანონმდებელმა. სწორედ ამასი გამოიხატება პრაქტიკოსებისთვის მუხლობრივი კომენტარების უპირატესობა თემატიკური წესით კონსტრუირებულ სახელმძღვანელო მასალასთან შედარებით. ამასთან, კომენტარები თვისებრივად უკეთესად წარმოაჩენს ნორმატიულ აქტებში არსებულ ხარვეზებს და იძლევა მათი სწორად დაძლევის შესაძლებელ ვარიანტებს, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც სამეცნიერო წრეებისათვის, ისე მოსამართლეთა და პრაქტიკოსი იურისტებისათვის.

აღსანიშნავია, რომ კომენტარის ავტორთაგან ერთ-ერთი – ვალერი ხრუსტალი – მოქმედი მოსამართლეა და, ამდენად, ეს ნაშრომს კიდევ ერთ დადებით შტრიხს მატებს, რადგან სწორედ მოსამართლეა ის პირი, რომელსაც ყოველდღიურად უხდება კანონის გამოყენება და მისთვის რეალურად ყველაზე მეტად ცნობილია დოკუმენტის დადებითი თუ უარყოფითი მხარეები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კომენტარის მეორე ავტორის – თენგიზ ლილუაშვილის, როგორც მეცნიერ-მკვლევარის, როლიც განუსაზღვრელად დიდია, რადგან სამეცნიერო წრე არის სწორედ ის მხარე, რომელიც იკვლევს არსებულ პრაქტიკას და საბოლოოდ განაზოგადებს მას.

წარმოდგენილი უპირატესობების მიუხედავად, სასურველი იქნებოდა, კომენტარს საძიებლის ფორმით თან ახლდეს იმ პრაქტიკულ სასამართლო საქმეთა ჩამონათვალი, რომელნიც გამოყენებულია ნორმების განმარტებისას.

გარდა ამისა, ისეთი ზოგადი ინსტიტუტების განმარტებისას, როგორებიცაა, მაგალითად, პროცესში კანონისა და სამართლის ანალოგია, სასურველი იქნებოდა, გამოყენებული ყოფილიყო კონკრეტული მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან; ასეთი ინსტიტუტების ამოქმედება, ფაქტობრივად, უკავშირდება მოსამართლის მიერ კანონშემოქმედებითი ფუნქციის განხორციელებას, ანუ კანონის იმგვარად გამოყენებას, როდესაც ძირითადი პრინციპების საფუძველზე ხდება ახალი, კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი წესების შექმნა მათი შემდგომი საყოველთაო გამოყენების მიზნით. ამდენად, აბსტრაქტული მაგალითები, რომელთაც კომენტარი ეყრდნობა, მართალია, იძლევა საკმაოდ ნათელ განმარტებას, მაგრამ მანც ნაკლებად სცდება თეორიული მსჯელობის ფარგლებს.

იურიდიული ლიტერატურის მიმოხილვა

ზემოაღნიშნული ხელს შეუწყობდა მკითხველს, უფრო ღრმად გასცნობოდა განხილული ცალკეული სამართლებრივი ინსტიტუტის გამოყენების პრაქტიკას. მეორე მხრივ, ასეთი მიდგომა მოსამართლეთათვისაც მეტად მნიშვნელოვანია, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პრაქტიკა არ არის სამართლის ოფიციალურ წყაროს, მისი მნიშვნელობა თანდათანობით უფრო და უფრო იზრდება და ნორმათა განმარტების პროცესში შეუცვლელი დამხმარე საშუალების ფორმას იძენს; პრაქტიკა უდიდეს როლს ასრულებს ახალი მსგავსი გადაწყვეტილებების მიღებისას მოსამართლის არგუმენტაციის სწორად წარმართვის საქმეში, რაც, საბოლოოდ, კოდექსის პრაქტიკაში ეფექტიანი რეალიზაციის მიზანს ემსახურება.

კოდექსის კომენტარი უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია როგორც წმინდა სამეცნიერო, ისე პრაქტიკული, გამოყენებითი თუ სასწავლო თვალსაზრისით. ვფიქრობ, ამ ნაშრომის სახით მკითხველი კიდევ ერთი ღირსშესანიშნავ სიახლეს შეიძენს.

ვახტანგ ზაალიშვილი

კონსტანტინე კორკელია/ირინე ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2004, 244, ISBN 99928-0-824-1

სახელმძღვანელოში განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მისი სტატუსი საქართველოს კანონმდებლობაში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი სასამართლოების პრაქტიკაში, კონვენციის განმარტების პრინციპები, კონვენციის გამოყენება სასამართლოების მიერ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წესები და პროცედურები, ევროპის საბჭოს ფარგლებში მოქმედი ადამიანის უფლებათა ძირითადი დოკუმენტები და მექანიზმები. გარდა ამისა, სახელმძღვანელოში მოცემულია ევროპული კონვენციის ცალკეული მუხლების კომენტარები, ჰიპოთეზური საქმეები.

ადამიანის უფლებების დაცვის აქტუალობიდან და პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, აღნიშნული ნაშრომი საზოგადოებისათვის უდავოდ საჭირო და აუცილებელია. ზოგადად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიმოხილვის გარდა, სასამართლო პრეცედენტებისა და კონკრეტული საქმეების ანალიზი უფრო მეტ მნიშვნელობასა და ინტერესს სძენს სახელმძღვანელოს. კონკრეტული მაგალითების ანალიზის საფუძველზე კონვენციის ესა თუ ის მუხლი უფრო გასაგები ხდება ყველა დაინტერესებული პირისათვის – იქნება ეს მოსამართლე, მისი თანაშემწე, ადვოკატი, სტუდენტი თუ უბრალოდ ამ სფეროთი დაინტერესებული პირი.

უდავოდ საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების ურთიერთდამოკიდებულების განხილვა, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი, ზოგადად, სასამართლოებისა და, კერძოდ, ქართული სასამართლოს პრაქტიკაში.

ჰიპოთეზური საქმეები საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირებს, სამართლებრივი შეფასება მისცენ კონკრეტულ შემთხვევებს და ამით გადაამოწმონ თავისი ცოდნა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ცალკეულ მუხლებთან მიმართებით.

დაინტერესებული მკითხველისათვის ძალზე სასარგებლოა სახელმძღვანელოს ბოლოს გამოქვეყნებული ადამიანის უფლებათა ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, შესახებ არსებული ქართული თუ უცხოენოვანი ლიტერატურის ნუსხა.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახელმძღვანელოს სახით ქართულ იურიდიულ ლიტერატურას კიდევ ერთი ჩინებული ნაშრომი შეემატა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შესახებ და იგი თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს ჩვენს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე, პროგრესული სისტემის ჩამოყალიბებაში.

ზურაბ ბექიაი